სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

27933154673624

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240051293

რეგისტრაციის თარიღი

17.01.2024 წ

ნოტარიუსი: თეა მაღალდაძე
მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის ქ. N6
ტელეფონი: 593326161

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაოთხი წლის **ჩვიდმეტ იანვარს** მე, საქართველოს ნოტარიუსს თეა მაღალდაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მტკვრის ქუჩა N6, მომმართა **ლეილა ტენტერაშვილმა**, რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.
მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ლეილა ტენტერაშვილმა** [დაბ:28.06.1957წელს, პ/ნ 01012025264; მისამართზე: ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი, კორპუსი 21, ბინა 16] მომმართა.
მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.
მე დავადგინე **მხარის** ნების გამოვლენის ნამდვილობა, რის შემდეგაც შევადგინე მინდობილობის ტექსტი. მე, მას წავუკითხე და განვუმარტე მინდობილობის შინაარსი და მასზე ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი. მან წაიკითხა, მოიწონა მინდობილობის ტექსტი და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობის შინაარსი ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს, რის შემდეგ ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი ქვემოაღნიშნულ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **ლეილა ტენტერაშვილმა**, შემდეგში წოდებული, როგორც "მიმნდობი", ამ მინდობილობით **დავით სიხარულიძეს** [დაბ:08.02.1987წელს, პ/ნ 01011042066], რომელიც შემდეგში წოდებულია როგორც "მინდობილი" მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

"მინდობილი" უფლებამოსილია მართოს და განკარგოს ჩემი კუთვნილი უძრავი ქონება, მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქალაქი თბილისი, ვახტანგ და ამირან კაპანაძეების ქუჩა, N 25 - საკადასტრო კოდი 01.18.13.022.004** - ამის შესაბამისად დადოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი გარიგება მინდობილის ქონების მართვასთან და განკარგვასთან დაკავშირებით, გაცვალოს, იყიდოს, გაყიდოს გადაუფორმოს მესამე პირს, გადაიფორმოს თავის თავზე, დადოს საკუთარ თავთან გარიგება, დატვირთოს სერვიტუტით, მოახდინოს უძრავ ქონებ(ებ)ზე რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია (ფართი, მისამართი, პირადობის მონაცემები, ნომრის მინიჭება, გამიჯვნა, გაყოფა, გაერთიანება, მიწის ნაკვეთზე უფლებათა ცვლილების სპორადული რეგისტრაცია და სხვა), გააფორმოს ,,ბე"-ს ხელშეკრულება, ხელი მოაწეროს ნასყიდობის, წინარე ნასყიდობის, სადაზღვევო ხელშეკრულებებს, გარიგების თანხა, ვადა და სხვა პირობები განსაზღვროს თავის შეხედულებისამებრ, შეიტანოს ცვლილება და/ან გააუქმოს ხელშეკრულებები, ხელი მოაწეროს შესაბამის საბუთს, შეთანხმებას, აქტს, ხელშეკრულებას, დაარეგისტრიროს შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოებში, ამასთან დაკავშირებით იყოს ჩემი წარმომადგენელი საქართველოს ნებისმიერ სახელმწიფო, არასახელმწიფო, ორგანიზაციაში, მესამე პირებთან (ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან) ურთიერთობაში მათ შორის: ინვესტორებთან, იუსტიციის სამინისტროში და მასში შემავალ ნებისმიერ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში, შსს მომსახურების სააგენტოში, ნებისმიერ სამინისტროში, სანოტარო ბიუროში, არქივში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, გამგეობაში, ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლის, დასუფთავების ნებისმიერ კომპანიაში, ნებისმიერი სატელეფონო ოპერატორთან და ინერნეტ პროვაიდერთან ურთიერთობაში, ჩემი სახელით გააკეთოს ნებისმიერი შინააარსის განცხადება, წარადგინოს ან/და მიიღოს საბუთები, დოკუმენტები, ცნობები, დუბლიკატები, ინფორმაცია, მოწმობები, წარადგინოს ისინი შესაბამის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, წარდგენა მიღებაზე ხელმოწერის უფლებით, გადაიხადოს ყველა სახის კომუნალური გადასახადი, მოაწეროს ხელი ჩემს ნაცვლად ნებისმიერ დოკუმენტს, ხელშეკრულებას, მიღება-ჩაბარების აქტს, დაარეგისტრიროს / მოხსნას ვალდებულებითი შეზღუდვა უძრავ ქონებაზე, გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი გადასახადი, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში გამოაწოროს ნებისმიერი ხარვეზი.
მინდობილობა გაცემულია ათი წლის ვადით;
მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი ძალის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი რჩება ჩემს სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.
გადახდილია სანოტარო საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.12.2011 წ.) 31–ე მუხლის საფუძველზე 18.00 ლარი 39-ე მუხლის საფუძველზე 5.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. 3.24 ლარი ჯამში: 26.24 ლარი.

ხელმოწერა ლეილა ტენტერაშვილი

საქართველოს ნოტარიუსი
თეა მაღალდაძე